

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION
WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

მაისი 2016

ადვოკატებისთვის მრგვალი მაგიდა გაიმართა

30 მაისს “საქპატენტისა” და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა ქართველი ადვოკატებისთვის “სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები შესახებ.

ღონისძიებას ესწრებოდა 40- მდე მოქმედი ადვოკატი.

ღონისძიება გახსნეს “საქპატენტის” თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძემ და ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ირაკლი ყანდაშვილმა.



“საქპატენტი” და ადვოკატთა ასოციაცია აგრძელებენ ინსტიტუციურ თანამშრომლობას.

ადვოკატ ზაზა შველიძის საფეხბურთო გუნდი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას
2016 წლის ჩემპიონი გახდა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის საფინალო ტურნირი გაიმართა, რომელიც ადვოკატ ზაზა შველიძის საფეხბურთო გუნდმა მოიგო. ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა იყო გუნდის დირიჟორი გიგი მუმლაძე, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. გიორგი სვანიძემ ერთმანეთზე ლამაზი რვა ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიიღო. მიუხედავად დამარცხებისა, მაყურებელთა სიმპათიის პრიზი როინ მიგრიანა დაიმსახურა, რომლის ფინტებმა არაერთი აპლოდისმენტები დაიმსახურა. საუკეთესო მეკარე გახდა მიხეილ ელიკაშვილი, რომელმაც თავი აკრობატული ნახტომებით დაგვამახსოვრა. ტურნირის ორი მთავრი ფავორიტი მალხაზ ლაფაჩის გუნდი „ფორცა“ და იურიდიული დახმარების სამსახურის გუნდი რომლებსაც ორჯერ ჰქონდათ მოგებული ჩემპიონატი უშანსოდ დამარცხდნენ. ბოლო სამი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა მირიან ცუცქერიძემ პირველ თამაშში ტრავმა მიიღო და ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. საბოლოოდ, მალხაზ ლაფაჩის გუნდი „ფორცა“ მესამე ადგილს დასჯერდა. ტურნირზე, იურიდიული დახმარების სამსახურის გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ მოკლე სათადარიგო სკამის გამო ძალები შემოეღია და მეორე ადგილი დაიკავა. ადვოკატ ზაზა შველიძის საფეხბურთო გუნდი პირველად მონაწილეობდა საფეხბურთო ტურნირში, რაც მის წარმატებას უფრო შთამბეჭდავს ხდის. ადვოკატთა ასოციაცია ულოცავს ადვოკატ ზაზა შველიძის საფეხბურთო გუნდს წარმატებას და უსურვებს შემდგომ გამარჯვებებს. ტურნირის მსაჯი და ორგანიზატორი ზაზა ხატიაშვილი

ბათუმში მიგრაციის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა



18 მაისს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD) ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით მიგრაციის საკითხებზე ქალაქ ბათუმში ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგის მიზანი იყო აამაღლოს ცნობიერება ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებზე და მიაწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია იმ ადვოკატებს, რომლებიც მიგრაციის სფეროში მუშაობენ. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრთან და პროექტ ENIGMMA-ს მიერ მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტთან ერთად განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულება და ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, მობილობა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები, შენგენის ქვეყნებში მიმოსვლის წესები და რეგულაციები და, ზოგადად, მიგრაციის ტენდენციები საქართველოში.

ტრენინგი ჩატარდა პროექტ ENIGMMA-ს 2016 წლის საინფორმაციო კამპანიის „ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი“ ფარგლებში და მიზნად ისახავდა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ლეგალური მიგრაციის შესახებ ცნობიერების მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) დაარსდა 1993 წელს ავსტრიისა და შვეიცარიის ინიციატივით. ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ევროპაში, აფრიკაში, ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში. მისი ექვსი კომპეტენციის ცენტრის მეშვეობით, ICMPD აწვდის ინფორმაციას და სთავაზობს ექსპერტიზას მიგრაციის ფენომენის შესახებ თავის 15 წევრ სახელმწიფოსა და სხვა პარტნიორებს. ამისათვის ICMPD იყენებს სამ საფეხურიან მიდგომას, რაც დაფუძნებულია: კვლევაზე, შესაძლებლობების გაძლიერებასა და მიგრაციის დიალოგზე. პროექტი „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ ENIGMMA არის საქართველოს მიერ ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების, ასევე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და მობილურობის შესახებ ხელშეკრულების, ვიზა ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებების განხორციელების პროცესში წარმატებით გადადგმული ნაბიჯების შედეგი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროექტი დაიწყო 2013 წლის დეკემბერში და გაგრძელდება 2017 წლის ივნისამდე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა და დედაქალაქის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ხელისუფლების ისეთ საქმიანობაში ჩართულობის კუთხით, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობისა და რეპუტაციის ამაღლებას. ასევე, კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები გეგმავენ, აქტიურად ითანამშრომლონ საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ერთობლივად შეიმუშაონ სამართლებრივი რეგულაციები და პროექტები.

ტურნირი ნარდსა და შაშში



21 მაისს ქალაქ ბათუმის ადვოკატებს შორის ნარდსა და შაშში ტურნირი გაიმართა, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს მიემდგვნა.

აღნიშნულ შეჯიბრში რეგისტრაცია თვრამეტმა ადვოკატმა გაიარა. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ინტენსიურად განაგრძობს ორგანიზება გაუწიოს სპორტულ ღონისძიებებს.

საპრიზო ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ნარდი:

1 ადგილი: არსენ ხიჯაკაძე.

2 ადგილი: ბადრი სურმანიძე.

3 ადგილი: თემურ მახაძე.

4 ადგილი: კახა კოკაია.

შაში:

1 ადგილი: ბადრი სურმანიძე.

2 ადგილი: გენადი მალაყმაძე.

3 ადგილი: ჯემალ კიკნაძე.

4 ადგილი: კახა კოკაია.

ეთიკის კომისია

რეკომენდაციათა გაცემის სერვისი ამოქმედებიდან დღემდე შემოსულია 130 შეკითხვა, მათ შორის 75 ზეპირი შეკითხვა „ცხელი ხაზი“-ს მეშვეობით, ხოლო 55 წერილობითი სახით. ყველა ზეპირ შეკითხვაზე გაცემულია რეკომენდაცია, ხოლო ოთხი წერილობითი შეკითხვა განხილვის პროცესშია.

2016 წლის მაისში ეთიკის კომისიის მიერ გაცემულია 4 რეკომენდაცია. მათ შორის:

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა - ორი რეკომენდაცია

პროცესის მონაწილე მხარის პატივისცემის პრინციპი - ერთი რეკომენდაცია

უარი რეკომენდაციაზე, ვინაიდან შეკითხვა შემხებლობაში იყო მიმდინარე საქმესთან - ერთი რეკომენდაცია

ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა ეთიკის კომისიის მიერ გაცემული ზეპირი და წერილობითი რეკომენდაციები ადვოკატთა იდენტიფიცირების გარეშე. ასევე, ვებ-გვერდზე სიახლეების ველში ქვეყნდებოდა ინფორმაცია ეთიკის კომისიის მიერ გაცემულ მნიშვნელოვან წერილობითი რეკომენდაციის შესახებ.

წერილობითი სახით გაცემული რეკომენდაციები გაეგზავნათ ადვოკატებს ფოსტის მეშვეობით.

ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი - (+995 32) 2 200 262

ელ-ფოსტა: ethicsrecommendations@gba.ge

Skype: [etikis.komisija](https://www.skype.com/join/etikis.komisija)

სასწავლო ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები

თბილისი:

- 4, 5, 6, 10, 11, 13 მაისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 16 მაისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 19 მაისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 23 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 24 მაისი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში;
- 23, 24 მაისი – ევრო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მნიშვნელოვანი

ასპექტები:

- 28-29 მაისი – იურიდიული დასკვნის და გადაწყვეტილების სტილი;
- 30 მაისი – საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ (კანონპროექტის განხილვა).

ბათუმი:

- 14 მაისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები;
- 15 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 16 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 18 მაისი – მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში.

ქუთაისი:

- 14 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 17 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 28 მაისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.

სასწავლო ცენტრი მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

თბილისი:

- 6 ივნისი – სამეწარმეო სამართალი;
- 10, 11 ივნისი – ევრო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 12, 13 ივნისი – ევრო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 14 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 15, 16, 17 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 16 ივნისი – საგადასახადო სამართალი;
- 17 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 24 ივნისი – ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი;
- 25 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.

ბათუმი:

- 4 ივნისი – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება;
- 5 ივნისი – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება;
- 8 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 10 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 23 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 27 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში;
- 28 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში.

ქუთაისი:

- 9 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 11 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 19, 20, 21 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 22 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 24 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33